

შპს ეს-სი-ეი
2022 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს ეს-სი-ვი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,640,439	2,529
არამატერიალური აქტივები		5,853	-
გუდვილი		2,850,069	
გრძელვადიანი ინვესტიციები	4	5,726,326	4,024,930
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,222,688	4,027,459
სასაქონლო მარაგები	5	5,736,454	151,576
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	5,447,585	212,766
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		1,379,157	266,452
სულ მოკლევადიანი აქტივები		12,563,196	630,794
სულ აქტივები		22,785,884	4,658,253
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		73,390	26,000
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	7	2,259,953	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	11,687,717	751,187
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		14,021,060	777,187
სულ ვალდებულებები		14,021,060	777,187
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		4,378,785	4,025,469
გაუნაწილებელი მოგება		2,701,087	(144,403)
სხვა რეზერვები		1,684,951	-
სულ კაპიტალი		8,764,824	3,881,066
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		6,453,426	3,910,837
განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი		2,311,398	(29,771)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		22,785,884	4,658,253

შპს ეს-სი-ვი-ის დირექტორი:
დავით ჩანტლაძე




შპს ეს-სი-ეი

კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	მენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	9	16,963,913	15,508
ამონაგების თვითღირებულება		(12,680,342)	(6,909)
საერთო მოგება		4,283,571	8,599
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(1,982,382)	(152,881)
ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	11	(159,046)	(122)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	12	444,358	-
მოგება დაბეგვრამდე		2,586,500	(144,403)
მოგების გადასახადი		(119,839)	-
წმინდა მოგება/ზარალი		2,466,662	(144,403)
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:			
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		1,620,541	(96,317)
არამკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		846,120	(48,086)
მოგება/ზარალი		2,466,662	(144,403)

შპს ეს-სი-ეი-ის დირექტორი:
დავით ჩანტლაძე



შპს ეს-სი-ეი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი - 01/01/2021	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	4,025,469		4,055,241	(29,771)	4,025,469
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-	-
პერიოდის მოგება		(144,403)	(96,317)	(48,086)	(144,403)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-				-
ნაშთი - 31/12/2021	4,025,469	(144,403)	3,958,924	(77,858)	3,881,066
ნაშთი - 01/01/2022	4,025,469	(144,403)	3,958,924	(77,858)	3,881,066
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	589,024	-	(1,722,374)	2,311,398	589,024
გაცემული დივიდენდები	-	(1,597,082)	(1,597,082)	-	(1,597,082)
პერიოდის მოგება		2,466,662	1,620,541	846,120	2,466,662
კაპიტალის სხვა ცვლილებები	3,425,154	-			3,425,154
ნაშთი - 31.12.2022	8,039,648	725,176	2,260,009	3,079,661	8,764,824

შპს ეს-სი-ეი-ის დირექტორი:

დავით ჩანტლაძე

შპს ეს-სი-ეი

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეს-სი-ეი ს/კ 200270820 შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 06/02/2009). საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქ., N 7გ, ბ. 12ბ.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში ადგილობრივი დამკვეთებისთვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გაწევა.

კომპანიის დირექტორი და 100 %-იანი წილის მფლობელია დავით ჩანტლაძე, პ/ნ 01002010361.

შპს ეს სი ეი 14/12/2021-ში ხდება 66.7 % წილის მფლობელი კომპანიაში **შპს იმპოსტი მეპ** ს/კ 405466384, რომლის 33,3 % წილის მფლობელი და დირექტორია ვლადიმერ კუვშინოვი, პ.ნ. 61001051306.

შპს იმპოსტი მეპის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

შპს ეს-სი-ეი 29/11/2022-ში ხდება შპს **იმპოსტი-ის** ს/კ **406033019** 50 %-იანი წილის მფლობელი. შპს იმპოსტის 50 %-ს ფლობს ფიზიკური პირი გიორგი ოსეფაიშვილი, 01013020701. დირექტორი დავით ჩანტლაძე.

შპს იმპოსტს თავის მხრივ აქვს წილი შემდეგ კომპანიებში:

შპს იმპოსტი მექანიზაცია 405342437 - 100 % - დირექტორი ვლადიმერ მაისურაძე, 01003013081

შპს ბაკურიანი პლაზა 204555070 – 37,5 % - დირექტორი - ოთარ ტუხიაშვილი, 01001089139

შპს პერიმეტრი 405368766 – 66,7 % - დირექტორი ოთარ ტუხიაშვილი, 01001089139 (არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას).

ხოლო შპს პერიმეტრი 100 %-იან წილს ფლობს **შპს გუდაური პლაზა-ში 405368793**, რომელიც არ ახორციელებს საქმიანობას საანგარიშგებო პერიოდისთვის

შპს ეს-სი-ეი-ს კონსოლიდირებული (ჯგუფის) ანგარიშგება მომზადებულია შპს "იმპოსტი მეპ", შპს "იმპოსტი", შპს "იმპოსტი მექანიზაცია" და შპს "ბაკურიანი პლაზა" მონაცემებზე დაყრდნობით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი / ლარი	2.702	3.0976	3.2766
1 ევრო / ლარი	2.8844	3.504	4.0233

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ

მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება.

გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ლიზინგით შეძენილი აქტივები
პერიოდი 31/12/2020	-	-	-	-	-
პერიოდი 01/01/2021	-	-	-	-	-
შემოსვლა	-	1,355	-	1,186	-
ცვეთა	-	(10)	-	(2)	-
ჩამოწერა	-	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	-	1,345	-	1,184	-
პერიოდი 01/01/2022	-	1,345	-	1,184	-
შემოსვლა	65,392	485,139	681,824	569,120	386,024
ცვეთა	(13,665)	(111,237)	(97,271)	(236,874)	-
ჩამოწერა	(3,563)	(49,580)	(36,000)	(1,401)	-
პერიოდი 31/12/2022	48,164	325,667	548,553	332,030	386,024

4. გრძელვადიანი ინვესტიციები

	წმინდა საბალანსო ღირებულება	წმინდა საბალანსო ღირებულება
	31-12-22	31-12-21
	ლარი	ლარი
მიწის ნაკვეთები	4,347,930	4,024,930
ნაგებობები	30,561	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	1,327,836	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	20,000	-
სულ	5,726,326	4,024,930

5. სასაქონლო მარაგები

	31-12-22	31-12-21
	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	3,881,856	-
სხვა მარაგები	1,854,599	151,576
სულ	5,736,454	151,576

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-22	31-12-21
	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	3,395,553	4,500
გაცემული ავანსები	693,774	208,266
სხვა მიმდინარე აქტივები	1,358,258	-
სულ	5,447,585	212,766

7. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	31-12-22	31-12-21
	ლარი	ლარი
ბანკებისგან ნასესხები თანხები	2,259,953	-
სულ	2,259,953	-

**8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი
ვალდებულებები**

	31-12-22	31-12-21
	ლარი	ლარი
საგადასახადო ვალდებულება	37,602	-
სავაჭრო ვალდებულებები	1,946,786	28,541
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	529	-
მიღებული ავანსები	6,588,036	-
სხვა ვალდებულებები	3,114,764	722,647
სულ	11,687,717	751,187

9. ამონაგები

	2022	2021
	ლარი	ლარი
საქონლის გაყიდვიდან	272,807	-
მომსახურების გაწევიდან	5,168,002	15,508
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	11,510,575	-
სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	12,529	-
სულ	16,963,913	15,508

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(847,917)	(131,599)
ცვეთა და ამორტიზაცია	(505,966)	(12)
იჯარის ხარჯი	(45,948)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(582,550)	(21,269)
სულ	(1,982,382)	(152,881)

11 ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

	2022	2021
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	19,701	-
საპროცენტო ხარჯები	(178,747)	(122)
	(159,046)	(122)

12. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი

	2022	2021
	ლარი	ლარი
სხვა საოპერაციო შემოსავალი	425,261	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	(2,257)	-
მიღებული დივიდენდები	39,250	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(17,896)	-
სულ	444,358	-

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კონსოლიდირებული ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე ჯგუფში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 1 ოქტომბერს.

შპს ეს-სი-ეი-ის დირექტორი:

დავით ჩანტლაძე

